ხელშეკრულება № 09/01

ქ.თბილისი

„01" „09" 2011 წ.

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ფოსტა", მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. ***რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი*** – *საფოსტო გზავნილი, რომელთა მიღებაზე გამგზავნს ეძლევა შესაბამისი დოკუმენტი, რეგისტრირდება საფოსტო განყოფილებაში და მიმღებს გარდება ხელმოწერით.*

1.2. ***ამანათი*** - *საფოსტო გზავნილების სახეობა, რომლის შიგთავსის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მსოფლიო საფოსტო კავშირის ნორმატიულ აქტებს. ამანათის წონა და ზომები განისაზღვრება საფოსტო კავშირის წესებით;*

1.3. ***საფოსტო მარშუტი*** – *საფოსტო ობიექტებს შორის საფოსტო ტრანსპორტის მოძრაობის გზა.*

1.4. ***საკურიერო მომსახურება*** – *მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მისამართიდან კურიერის მიერ საფოსტო გზავნილების მიღება და ადრესატისათვის ჩაბარება.*

1.5. ***საფოსტო მარკა*** – *საფოსტო მომსახურების მიღებისათვის დადგენილი საგადახდო საშუალება.*

1.6 ***მიმღები*** - *შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით გზავნილის მიმღებად განსაზღვრული ორგანიზაცია-დაწესებულება, ან ფიზიკური პირი.*

1.7 ***გზავნილი შეტყობინებით*** – წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც მიმწოდებელი აწვდის შემსყიდველს დადგენილ ვადებში გზავნილის ჩაბარების თარიღის და მიმღების ვინაობის შესახებ.

1.8. ***EMS - გზავნილი*** – *სწრაფი გზავნილი, რომელსაც გააჩნია რიგი უპირატესობები, ჩვეულებრივ გზავნილთან მიმართებაში, მათ შორის: დახარისხებისას, გადაგზავნისას, ჩაბარებისას.*

1.9. ***პირდაპირი ფოსტით მომსახურება*** – *ერთჯერადად მიღებული სახვადასხვა სახის გზავნილებების გავრცელება -ჩაბარება.*

1.10. ***სატელეგრაფო მომსახურება*** – *ინფორმაციის, შეტყობინების გადაგზავნა დეპეშით.*

1.11. ***სასწრაფო გზავნილი*** – წარმოადგენს გზავნილის სახეს, რომლის გაგზავნა ხდება ამ ხელშეკრულების დანართ#1–ში მითითებული ვადებისაგან დაჩქარებული წესით, ან გაგზავნა ხდება არასამუშაო და უქმე დღეებში. სასწრაფო გზავნილების ჩაბარების წესს და პირობებს მხარეები ათანხმებენ ცალკე, ზეპირი ან წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებლის ვალდებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით შემსყიდველისათვის ქვეყნის შიგნით საფოსტო/საკურიერო მომსახურების გაწევა და შემსყიდველისთვის ვალდებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ გაწეული საფოსტო/საკურიერო მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით, დანართი # ----------ის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1 *ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე გაწეული საფოსტო მომსახურების კონკრეტული სახეობებისა და რაოდენობის შესაბამისად.*

3.2. *შემსყიდველი ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში შეიძენს სხვადასხვა სახისა და ნომინალის საფოსტო მარკებს და კონვერტებს, რაზედაც ანგარიშსწორებას ახდენს მარკების გაცემიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.*

3.3. *ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 343 (სამასორმოცდასამი) ლარს.*

3.4 *გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.*

3.5. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმეოდებელს ამ ხელშკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევის შმდეგ 20 კალენდარული დღის განმავლობაში, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

3.6. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

მუხლი 4. განსაკუთრებული პირობები

4.1 მიმწოდებლის მიერ გასაწევი საფოსტო მომსახურების სახეობების ნუსხა, ღირებულება და გადაგზავნის ვადები განსაზღვრულია დანართი №-------ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები

5.1. მიმწოდებლი ვალდებულია:

5.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს შემსყიდველისგან მიღებული რეგისტრირებული საფოსტო გზავნილების და დეპეშების მიღება, გადაგზავნა და ადრესატებზე ჩაბარება საქართველოს ფარგლებში.

5.1.2. მიმწიდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გადაცემული პირდაპირი ფოსტის გზავნილებების (ტუკლეტები, ბროშურები, საინფორმაციო და სარეკლამო მასალები, პროდუქციის ნიმუშები) გავრცელება მათი რაოდენობის შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ვადებში და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში.

5.1.3 უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გასაგზავნი გზავნილის ადრესატისათვის უსაფრთხო და დროული მიწოდება.

5.1.4 შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია.

5.1.5 საფოსტო მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუსაბუთოს წერილობით მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი.

5.1.6 შემსყიდველის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს საფოსტო მომსახურება.

5.1.7. გაუწიოს შემსყიდველს ჯეროვანი მომსახურეობა.

5.1.8. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

5.1.9 შემსყიდველის მიერ გამოუყენებელი (ზედმეტად) გადარიცხული თანხები, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნოს უკან.

5.1.10. დადგენილი ფორმით დააფიქსიროს ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარების ფაქტი.

5.1.11 იმ შემთხვევაში თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუყოვნებლივ დაუბრუნოს შემსყიდველს.

5.1.12 შემსყიდველის მიერ ადრესატის არასწორი მისამართის მითითების შემთხვევაში ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუყოვნებლივ დაუბრუნოს შემსყიდველს.

5.1.13 მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას შემსყიდველის მიერ 6.1.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გზავნილის დაგვიანებით ჩაბარებაზე, ან ჩაუბარებლობაზე.

5.1.14 ადრესატის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში განმეორებით ორჯერ მაინც მიიტანოს გზავნილი ჩასაბარებლად, ხოლო თუ კვლავ ვერ მოხერხდა მისი გადაცემა ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს შემსყიდველის.

5.1.15 არ განახორციელოს გზავნილის მიღება, თუ შემსყიდველს გააჩნია დავალიანება მის მიმართ.

5.1.16 ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

5.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.2.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ღირებულების გადახდა სახეობების, წონისა და რაოდენობის შესაბამისად.

5.2.2. გამოიყენოს შემსყიდველის მიერ გადახდილი თანხა.

5.2.3. კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას ან შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებითა ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

5.2.4 მოთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

5.2.5. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება.

5.2.6. საფოსტო გზავნილების გადატანისას იხელმძღვანელოს მის მიერ დადგენილი სამარშუტო მიმართულებების შესაბამისად.

5.2.7 უარი განაცხადოს საფოსტო მომსახურების გაწევაზე, თუ გზავნილზე არ არის ან არასრულყოფილად არის მითითებული შემსყიდველის ან/და ადრესატის რეკვიზიტები: სახელი, მისამართი, საფოსტო ინდექსი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი).

5.2.8. უარი განაცხადოს გზავნილის მიღებაზე, თუ ერთი გზავნილი დამისამართებულია სხვადასხვა ადრესატზე, ან ერთი ადრესატი დამისამართებულია სხვადასხვა მისამართზე.

5.2.9. უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ შემსყიდველმა მომსახურების გაწევა მოითხოვა არასამუშაო დღის ან/და არასამუშაო საათის პერიოდში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი თანახმაა წაიღოს სასწრაფო გზავნილი.

5.2.10 შემსყიდველის მიერ საფოსტო მომსახურების ღირებულების გადახდის დავალიანების შემთხვევაში უარი განაცხადოს შემდგომ მომსახურებაზე.

5.2.11 რეგისტრირებულ გზავნილებებზე პრეტენზიები განიხილება გაგზავნიდან მხოლოდ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

5.2.12. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს (მოშალოს) აღნიშნული ხელშეკრულება.

5.2.13. შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით

მუხლი 6. შემსყიდველს უფლებები და ვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

6.1.1.შეასრულოს მიმწოდებლის კანონიერ მოთხოვნებს.

6.1.2. დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში მიმწოდებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი.

6.1.3. მკაცრად დაიცვას საფოსტო გზავნილების გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ დადგენილი მიღება-ჩაბარების წესები.

6.1.4. რეგისტრირებული გზავნილების გაგზავნისას მიმწიდებელს გზავნილები ჩააბაროს რეესტრით (ფორმა 103) საფოსტო გზავნილის შესაბამისი რიგითი ნომრის, წონის და გადაგზავნის საფასურის ჩვენებით. გზავნილის სამისამართო მხარეზე მითითებული უნდა იყოს გამგზავნის და ადრესატის საფოსტო ინდექსი, სრული მისამართი, ადრესატის სახელი, გვარი. პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი) კონვერტის მარჯვენა ზედა კუთხეში განათავსოს გზავნილის შესაბამისი ღირებულების მარკა (მარკები), უნაღდო ანგარისსწორების შემთხვევაში მარკის განთავსების ადგილზე მიუთითოს „ხელშეკრულებით".

6.1.5 მალფუჭებადი ან/და მსხვრევადი გზავნილის შემთხვევაში გზავნილსა და თანმხლებ დოკუმენტაციაში გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა.

6.1.6. საკურიერო მომსახურებისას ამ ხელშეკრულების 6.1.4 პუნქტის შესაბამისად დაახვედროს მიმწოდებლის წარმომადგენელს გასაგზავნი ფოსტა მზად.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს ჯეროვანი საფოსტო მომსახურების გაწევა.

6.2.2. მოახდინოს მიმწოდებლის ანგარიშზე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლო მომსახურებისათვის თანხის წინასწარი ჩარიცხვა.

6.2.3. მოითხოვოს №- დანართით განსაზღვრული მომსახურეობების გაწევა.

6.2.4. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6.2.5. საფოსტო მომსახურების დაწყებამდე უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

6.2.6 მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები.

6.2.7 მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია.

6.2.8. წერილობით მოითხოვოს გამოუყენებელი თანხების უკან დაბრუნება.

6.2.9. მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება.

6.2.10 მოითხოვოს მიმწოდებლის მოთხოვნის კანონიერების დასაბუთება.

6.2.11. მოითხოვოს კორესპოდენციის ადრესატამდე უსაფრთხო და დროული მიტანა.

6.2.12 მიმწოდებელთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

6.2.13 ზეპირად ან წერილობით მოითხოვოს ინფორმაცია გზავნილების მოძრაობასთან დაკავშირებით.

6.2.14. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ ზეპირად ან წერილობით დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების 3.5. ან 3.6 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებლს" უხდის ჯარიმას ყოველ ვდაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1 %–ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. „მიმწოდებელს" ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა შემდეგ შემთხვევებში და ოდენობით:

8.3.1. შიდა გზავნილებზე:

– დაკარგული რეგისტრირებული გზავნილისა და ამანათისათვის – გადაგზავნის საფასურის ფარგლებში.

- *საფოსტო გზავნილების შიგთავსის დანაკლისის, ან დაზიანების შემთხვევაში – გადაგზავნის საფასურის ფარგლებში. რეგისტრირებული გზავნილის დადგენილი ვადის ზევით ჩაბარებისათვის გზავნილის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.*

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარმოებებით.

9.2. ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით..

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. *„შემსყიდველს" უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რათა დარწმუნდეს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.*

10.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს "შემსყიდველის" მიერ გამოყოფილი კორდინატორი დარეჯან ლობჯანიძე დ0370931 და ნინო ყავლაშვილი ბ1028204, რომელიც უფლებამოსილია პირადობის მოწმობისა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში განახორციელოს ინსპექტირება.

10.3 მომსახურების შესრულება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებით მიღება-ჩაბარების აქტითა და საგადასახადო ანგარიშფაქტურით.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2 20 დღის განმავლობაში ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ იდაონ სასამართლო წესით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12..1 ორივე მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეთანხმებით ან ცალმხრივად მოშალოს ეს ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულია 30 დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს

თუ გზავნილის გადატანა მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებ და საჭიროებს დამატებით ხარჯებს, მაშინ მისი გადატანა ხორციელდება დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

12..2 მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.

12..3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების, ან კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე.

12..4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს ეცნობება წერილის, დეპეშის, ტელეფონის ან ფაქსის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე ან ტელეფონზე.

12..5 მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ზეპირად ან წერილობითი შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დადგება.

12.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ან მხარეების მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის თაობაზე მინიჭებული უფლების გამოყენებამდე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი „*
ნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	*შპს „საქართველოს ფოსტა“*

მისამართი

ქ. ონი, აღმაშენებლის მოედანი №1

თელ.: 577468811

ბ.კ. 220101449

ა/ა GE621BO120115527055000

ს/კ 237978279

შს "ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი

თავმჯდომარე

შალვა ჯაფარიძე

მისამართი;

0100 თბილისი, ვაჟა ზლის მოედანი 2

ტელ: 91 06 54

ბ/კ LBRTGE22

ა/ა GE88LB0113194522215000

ს/კ 203836233

ბანკის დასახელება:

ლიბერთი ბანკი

გენერალური დირექტორი

ლევან სანაძე

577 182058 ირინა